პროექტი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა  №_ _**

2024 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482420592; 23/07/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482420592**
თარიღი: **23/07/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" 2024 წლის 17 ივლისის №34-4824199120 წერილი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის №03-482420428 წერილი ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხაში ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

შესაბამისად ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხა ცვლილებას ექვემდებარება შემდეგი:

1. დამატებული იქნას გამწვანება-განაშენიანების მართვის სერვისში მუშის 3 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 825 ლარი;

2. დამატებული იქნას გამწვანება-განაშენიანების მართვის სერვისში მძღოლის 1 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 990 ლარი;

3. დამატებული იქნას წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა - პატრონობის სერვისში სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 900 ლარი.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" სახელფასო ფონდის ზრდას, ერთ თვეზე 5 265 ლარით, ხოლო წლიურ ფონდზე დარჩენილ 5 თვეზე 26 325 ლარით.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ."

ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1

**ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების,გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" საშტატო ნუსხა**

| # | თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეული | განაკვეთის ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | **129,0** | |
| | **ადმინისტრაცია** | **17,00** | |
| 1 | მმართველი | 1 | 2400 |
| 2 | მმართველის  მოადგილე | 1 | 1800 |
| 3 | მთავარი ინჟინერი | 1 | 1500 |
| 4 | ადმინისტრაციის უფროსი | 1 | 1300 |
| 5 | ბუღალტერი | 1 | 1320 |
| 6 | საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი | 1 | 1298 |
| 7 | მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი | 1 | 1100 |
| 8 | შესყიდვების მართვის კოორდინატორი | 2 | 1100 |
| 9 | სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი | 1 | 1045 |
| 10 | შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი | 1 | 990 |
| 11 | საფინანსო–ეკონომიკური მართვის კოორდინატორი | 0 | 0 |
| 12 | უსაფრთხოების სპეციალისტი | 1 | 1500 |
| 13 | პიარი | 1 | 1000 |
| 14 | დარაჯი | 3 | 605 |
| 15 | დამლაგებელი | 1 | 550 |
| | **გამწვანება-განაშენიანების მართვის სერვისი** | 78 | |
| 16 | გამწვანების და განაშენიანების უზრუნველყოფის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 17 | სატრანსპორტო საშუალებათა კოორდინატორი | 1 | 968 |
| 18 | გამწვანების და განაშენიანების კოორდინატორი | 5 | 968 |
| 19 | აგრონომ-დეკორატორი | 1 | 1023 |
| 20 | დიზაინერი | 1 | 825 |
| 21 | მებაღე–დეკორატორი | 3 | 935 |
| 22 | მძღოლი | 8 | 990 |
| 23 | მძღოლი | 2 | 1375 |
| 24 | მუშა | 29 | 825 |
| 25 | მორიგე მცველი | 16 | 825 |
| 26 | მებაღე | 10 | 825 |
| 27 | ელ-შემდუღებელი | 1 | 825 |
| | **გარე განათების მართვის სერვისი** | 17 | |
| 28 | გარე განათების ქსელის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 29 | გარე განათების ქსელის კოორდინატორი | 2 | 968 |
| 30 | ელექტრიკოსი | 13 | 825 |
| 31 | შუქნიშნებისა და სათვალთვალო კამერების ტექნიკოსი | 1 | 825 |
| | **წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის სერვისი** | 17 | |
| 32 | წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 33 | წყალგაყვანილობის მართვის სპეცილისტი | 2 | 825 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 34 | გამწმენდი ნაგებობის ტექნიკოსი | 5 | 825 |
| 35 | მუშა | 7 | 825 |
| 36 | სპეციალისტი | 2 | 900 |

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ საშტატო ნუსხა

| № | თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეული | განაკვეთის ღირებულება |
|---|---|---|---|
| | ადმინისტრაცია | 129.0 | |
| 1 | მმართველი | 17.00 | |
| 2 | მმართველი მოადგილე | 1 | 2400 |
| 3 | მთავარი ინჟინერი | 1 | 1800 |
| 4 | ადმინისტრაციის უფროსი | 1 | 1500 |
| 5 | ბუღალტერი | 1 | 1300 |
| 6 | საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი | 1 | 1320 |
| 8 | მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი | 1 | 1298 |
| 10 | შესყიდვების მართვის კოორდინატორი | 1 | 1100 |
| 11 | სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი | 2 | 1100 |
| 13 | შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი | 1 | 1045 |
| 14 | უსაფრთხოების სპეციალისტი | 1 | 990 |
| 15 | პიარი | 1 | 1500 |
| 16 | დარაჯი | 1 | 1000 |
| 17 | დამლაგებელი | 3 | 605 |
| | **გამწვანება-განაშენიანების მართვის სერვისი** | 1 | 550 |
| 30 | გამწვანების და განაშენიანების უზრუნველყოფის მენეჯერი | 78 | |
| 31 | სატრანსპორტო საშუალებათა კოორდინატორი | 1 | 1078 |
| 32 | გამწვანების და განაშენიანების კოორდინატორი | 1 | 968 |
| 33 | აგრონომ-დეკორატორი | 5 | 968 |
| 34 | დიზაინერი | 1 | 1023 |
| 35 | მებაღე–დეკორატორი | 1 | 825 |
| 36 | მძღოლი | 3 | 935 |
| 37 | მძღოლი | 8 | 990 |
| 38 | მუშა | 2 | 1375 |
| 39 | მორიგე მცველი | 29 | 825 |
| 40 | მებაღე | 16 | 825 |
| 41 | ელ-შემდუღებელი | 10 | 825 |
| | **გარე განათების მართვის სერვისი** | 1 | 825 |
| 42 | გარე განათების ქსელის მენეჯერი | 17 | |
| 43 | გარე განათების ქსელის კოორდინატორი | 1 | 1078 |
| 44 | ელექტრიკოსი | 2 | 968 |
| 45 | შუქნიშნებისა და სათვალთვალო კამერების ტექნიკოსი | 13 | 825 |
| | **წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის სერვისი** | 1 | 825 |
| 46 | წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის მენეჯერი | 17 | |
| 47 | წყალგაყვანილობის მართვის სპეცილისტი | 1 | 1078 |
| 48 | გამწმენდი ნაგებობის ტექნიკოსი | 2 | 825 |
| 49 | მუშა | 5 | 825 |
| 50 | სპეციალისტი | 7 | 825 |
| | | 2 | 900 |

მმართველი:

421283113